სტამბა და რედაქცია: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართონ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.


## ქართული თეატრი

შაბათს, 6 ივნისს

### ქართული საერო ხორო ალ. კავსაძის

ლოტბარობით გამართავს

## კონცერტს

ოთხ განყოფილებათ 22 სიმღერით

ახალ სიმღერებს შორის ხორო შეასრულებს „ფერხულს“

განყოფილება I.

1) მგზავრული — — — — არაგვის-პირული
2) გუშინ შვიდნი გურჯანელნი — — ფშავ-ხევსურული
3) ვარადო — — — — ოსური
4) ოროველა (გუთნური) — — სოლო კავსაძისა
5) წყლის პირას დგანან ბალები — იმერული

განყოფილება II.

1) მგზავრული — — — — ოსური
2) ბრძანა სოლომონ — — ფშავ-ხევსურული
3) თოხნური — — — — ზემო ქართლული
4) სატრფოვ შენთვის დავიბადე — — სოლო (კავსაძისა)
5) კუჩხა ბედნიერა — — — მეგრული

განყოფილება III.

1) მგზავრული — — — — კახური
2) ჭონა — — — — — არაგვის-პირული
3) თოხნური — — — — კახური
4) სულო ბოროტო — — — სოლო კავსაძისა
5) გოგოვ შუშანაო — — — ზემო ქართლული
6) ოდელია — — — — გურული

განყოფილება IV.

1) მურმან მურმან — — — არაგვის-პირული
2) თავო ჩემო — — — — სოლო კავსაძისა
3) შუშან ქალო — — — — კახური
4) მივალ გურიაში — — — იმერული
5) სუფრული — — — — ქართლული
6) „ფერხული“ — — — — არაგვის-პირული.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8½ საათზე გამგე და ადმინისტრ. ნ. გოცირიძე

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საავარაკოში) სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
ყველაფერი იაფად
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—5) გ. ჩხარტიშვილი

## განიხვრა და დაფასება

ტყიან მამულებისა

## დაფასება სამეურნეო შემოსავლისა

მამულის გეგმის შედგენას და სხ.
ასრულებს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.

Алексѣй Григорьевичъ Снѣжковъ, Лабораторная № 26. (50—30)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

## ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი შალიკაშვილი დანიშნულ იქმნა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების კამანდირად.

პოლიციის შესანახი გარდასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ხუთის წლის ვადით შემდეგი ქალაქები: გორი, დუშეთი, ახალციხე და ახალ-ქალაქი.

უმაღლესი ჯილდოები სასულიერო უწყებაში.

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდალურის ობერ-პროკურორის ყოვლადუქვეშევრდომესის მოხსენებისამებრ, თანახმად უწმიდესის სინოდის განჩინებისა, ამ წლის 6 მაისს, ყოვლად-უმოწყალესად ინება დაჯილდოება ქვემოდ-მოხსენებულ სამღვდელო მსახურთა გასხვავების ნიშნებად: ა) საეპარქიო უწყებაში სამსახურისთვის: წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით: გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ცაიშის საკრებულო ტაძრის დეკანოზის მიხეილ მეუნარგიასი; ბ) წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენით: იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის საკრებულო საკათედრო ტაძრის დეკანოზის, იოსებ ჭეიშვილისა; იმავე ეპარქიის ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტის ნიკიფორესი; გ) წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენით: ქართლ-კახეთის ეპარქიის სამძღვრის დარაჯთა ერევნის რაზმის მოძრავის ეკკლესიის დეკანოზის ისააკ იორდანიშვილისა; დ) გულზე დასაკიდის ჯვარით მისის უდიდებულესობის კაბინეტითგან—ქართლ-კახეთის ეპარქიის ტფილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის არქიმანდრიტის კესარიოსისა.

ენქერით: კავკასიის აქეთა მხრის ქართლ-კახეთის ეპარქიის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის დედათა ინსტიტუტის ეკკლესიის დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი; იმავე ეპარქიის ქალ. გორის მიძინების საკრებულო ტაძრის დეკანოზი ბესარიონ თავდგირიძე; ბ) არქიმანდრიტობის ხარისხით—ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, მღვდელ მონაზონი ჰერმოგენი; ქვაბთახევის მიძინების მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი კირიონი; ჭელიშის ღვთის მშობლის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი დანიელი; გ) იღუმენის ხარისხით: იმერეთის ეპარქიის მოწამეთის მონასტრის იკონომოსი—მღვდელ-მონაზონი სპირიდონი, იმერეთის სამღვდელ-მთავრო სახლის იკონომოსი, მღვდელ-მონაზონი გრიგორი; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, შემოქმედის მონასტრის მღვდელ-მონაზონი მაკარი; ქართლ-კახეთის ეპარქიის ვარძიის მიძინების მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი სიმეონი; დ) დეკანოზის ხარისხით: ქართლ-კახეთის ეპარქიის სოფლის ბერშუეთის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი სიმონ ლუკიანიშვილი; იმავე ეპარქიის) ატოცის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ დიდებულიძე; იმავე ეპარქიის სოფლის კურდღელაურის მღვდელი მიხეილ ხელაშვილი; ე) უწმიდესის სინოდის მიერ ბოძებულის მკერდის ჯვრით: ქართლ-კახეთის ეპარქიის ქალ. გორის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი თომა ხახანაშვილი; გურია-სამეგრელოს ეპარქიის დიდჭყაის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი კონსტანტინე ბერიძე; იმავე ეპარქიის ომუჯის მთავარ ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი გიორგი შენგელაია; ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, მღვდელ-მონაზონი დიმიტრი; იმერეთის ეპარქიის სოფლის კულაშის ეკკლესის მღვდელი მიხეილ კანდელაკი; იმავე ეპარქიის სოფლის ხონის ეკკლესიის მღვდელი ერასტი მაჭარაძე; ქართლ კახეთის ეპარქიის სოფლის ერთაწმინდის ეკკლესიისმღვდელი გიორგი კარგარეთელი; იმავე ეპარქიის სოფლის ჯიმითის ეკკლესიის მღვდელი იოსებ შიშნიაშვილი; ქალაქ ყარსის მაცხოვრის ფერისცვალების საკრებულო ტაძრის დეკანოზი იოანნე ნაზაროვი; სოფლის წილკნის ღვთისმშობლის საკრებული ტაძრის მღვდელი ანტონ ხაიუტაშვილი; იმავე ეპარქიის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელის ხატის ტაძრის მღვდელი ქრისტესია ბეჟანოვი; ვ) კამილავკით: ტფილისის კუკიის ალექსანდრენეველის საკრებულო ტაძრის მღვდელი სერგი გოროდცევი; ქართლ-კახეთის ეპარქიის, სოფლის ბეგმის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ციცქიშვილი; იმავე ეპარქიის დაბა იგდირის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ბარნაბიშვილი; ყარსის თემის მეორე ოლქის სოფლის გრენადერის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ კომარი; ქალ. ბაქოს წმ. ნიკოლოზის საკრებულო ტაძრის მღვდელი პეტრე პოტაშევი; ქართლ-კახეთის ეპარქისს სოფ. ოსიაურის ეკკლესიის მღვდელი ილია მგალობლიშვილი; ქალ. ტფილისის დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი იროდიონ გურგენიძე; იმერეთის ეპარქიის რაჭის მაზრის სოფ. დების ეკკლესიის მღვდელი მიხეილ გავაშელიშვილი; იმავე ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფლის კორბოულის ეკკლესიის მღვდელი სპირიდონ აბულაძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის რედუთ-კალის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელი მაქსიმე სილაქაძე; იმავე ეპარქიის, სუჯუნის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სიმონ ნოდია; იმავე ეპარქიის ოზურგეთის საკრებულო ტაძრის მღვდელი მაქსიმე სიხარულიძე; ზ) უწმინდესის სინოდის კურთხევით, სიგელებითურთ; იმავე ეპარქიის ზუბის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბართლომე იოსავა; იმავე ეპარქიის, უფლის-კარის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ელიავა; იმავე ეპარქიის ხობის მონასტრის იკონომოსი, მღვდელ-მონაზონი დორიმედონტი ჱ) უწმიდესის სინოდის კურთხევით უსიგელოდ: გურია-სამეგრელოს ეპარქიის, იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოს მღვდელ-მონაზონი ფილიმონი; იმავე ეპარქიის შემომქმედის წმ. გიორგი ეკკლესიის მღვდელი ანტონი გოლოგრი.

## ახალი ამბავი

*** † გრაფი ვ. ვ. ლევაშევი. პეტერბურგში 26 მაისს გარდაიცვალა არტილერიის გენერალი გრაფი ვლადიმირ ვასილის ძე ლევაშევი. განსვენებული დაიბადა 1834 წ. 3 ნოემბერს, განათლება მიიღო მისი უდიდებულესობის პაჟთა კორპუსში, შემდეგ კურსი დაამთავრა პირველი ხარისხით მიხეილის არტილერიის აკადემიაში. გრაფმა ლევაშევმა ცხოველი მონაწილეობა მიიღო 1854—55 წწ. და 1863—64 წლების ომებში, როგორც დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტმა. როცა დიდი მთავარი დანიშნულ იქმნა კავკასიის ნამესნიკად, განსვენებული მსახურებდა მასთან საგანგებო მინდობილებათა ასასრულებლად, შემდეგ იყო კავკასიაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. 1876 წლიდან 1678 წლამდე გრაფი იყო ოდესის ქალაქის უფროსად და შემდეგ მსახურებდა სამხედრო სამინისტროში. არტილერიის გენერლობა ებოძა მას 1894 წელს.

*** „შუამავლის“ კრება. 31 მაისს მოხდა სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის“ პაის პატრონთა კრება

კრებამ დაამტკიცა გამგეობის წარსული წლის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, შემდეგ კრებამ წინადადება მისცა გამგეობას, თხოვეთ პაის პატრონთ შემოიტანონ კიდევ თითო თუმანი ამასთან ყურადღება მიაქციეთ ამას რომ „შუამავლის“ მაღაზიიდან გასაყიდი ხორცი და სხვა სანოვაგე საუკეთესო ღირსების იყოსო; კრებამ დაავალა აგრეთვე გამგეობას იქონიოს მაღაზიაში საჩივრის წიგნი, რომელშიაც თვითეულ მუშტარს უფლება ექმნება შეიტანოს საჩივარი, როცა მაღაზიის ანუ მსახურთა უკმაყოფილო იქმნებაო. პაის მყიდველთა გასამრავლებლად, კრებაზე კითხვა აღიძრა იმის შესახებ, რომ მიეცეს, რამდენიმე % ამხანაგობის მოგებიდან იმ პაის პატრონთ, რომლებიც „შუამავლის“ მაღაზიის მუშტრები გახდებიან. ეს კითხვა გადასწყდება მომავალ საზოგადო კრებაზე.

***** გაკანსიები საქალებო ინსტიტუტში.** ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტში წარდგენილია ამ ჟამად 50 თხოვნა ინსტიტუტის პანსიონში თავის ხარჯზე ქალების მიღების შესახებ; მაგრამ ამ თხოვნებიდან 47 თხოვნა შეუწყნარებელი დარჩება. ეს იმიტომ, რომ იმ 16 ადგილთაგან, რომლებიც გაანთავისუფლესწლევანდელმა კურს-დამთავრებულმა ქალებმა, 13 ადგილს დაიჭერენ სხვა-და-სხვა სტიპენდიანტები, და ამ სახით იმათთვის, ვისაც სურს თვის ხარჯზე აღზარდოს ინსტიტუტში ქალები რჩება მხოლოდ სამი ვაკანსია, რომლებსაც რიგ-რიგობით შეავსებენ.

***** ქართველი თანაშემწენი პროვიზორისა.** აპრილის თვეში ხარკოვის უნივერსიტეტში პროვიზორის თანაშემწეობაზე 10 კაცი იჭერდა ეგზამენს. მათ შორის ხუთი ქართველი იყო და ხუთმავე კარგად დაიჭირეს ეგზამენი და მთელს პროვიზორის თანაშემწის ხარისხი. აი მათი გვარებიცა: ი. მაისურაძე, სტ. ფალიაშვილი, ალ. ჯორჯიკია, კალ. ჩხეიძე და ეკ. ახვლედიანი.

***** ტფილისის სატელეგრაფო პალატაში** 2 ივნისიდან მუშაობა იწყება დილის 8 საათიდან და გასტანს ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

***** სურამის მაზრა.** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გორის მაზრა გაყოფილ იქმნეს ორ დამოუკიდებელ მაზრად გორისა და სურამისა.

***** ქსენონები საბოქაულოებში.** როგორც ისმის ტფილისის საგუბერნიო ადმინისტარაციას განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს თვითეულ სამაზრო საბოქაულოში თითო ქსენონი. თუ ეს აზრი განხორციელდა, ქსენონები გაიხსნება: გორის მაზრაში—5, ბორჩალოსა, დუშეთისა და სიღნაღისაში—ოთხ-ოთხი, ტფილისისა, თიანეთისა და ახალციხისაში სამ-სამი, თელავსა და ახალ-ქალაქისაში—ორ-ორი, სულ გუბერნიაში 21 ქსენონი, რაც უკვე არსებულ ქსენონებთან ერთად შეადგენს 30 ქსენონს.

***** ტფილისის კადეტთა კორპუსის** მოწაფენი გუშინ 3 ივნისს დილით მანგლისში გაემგზავრენ საზაფხულოდ.

***** ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის** მოწაფენი 2 ივნისს დილის მატარებლით გაემგზავრენ სურამს საბანაკოდ.

***** სამაგალითო საფუტკრე.** ტფილისის სააბრეშუმო სადგურისა ამ დღეებში, გადატანილ იქმნება ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მისთვის უკვე არჩეულია ადგილი, სადგურ ბელაგორის მახლობლად. ამ საფუტკრეში უჩვენებენ ახლომახლო მცხოვრებ გლეხებს მეფუტკრეობის გონივრულ წესებს.

***** სასანიტარო-სამკურნალო კომისიამ** პოლიციის მონაწილეობით, დაათვალიერა დუქნები და მაღზიები ავლაბარში და აღმოაჩინა 15 ათასამდე სხვა და სხვა გვაჲყი ძველი ტანისამოსი, რომლებისთვინაც არ გაუკეთებიათ დეზინფექცია. ძველი ტანისამოსის პატრონებმა, კომისიის წინადადებით გაგზავნოს ტანისამოსი დეზინფექციისათვის ქალაქის სადენზიფექციო კომერაში.

***** დრო გამოშვებით სულით ავადმყოფთა თავ-შესაფარი.** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება ტფილისში დრო გამოშვებით სულით-ავადმყოფთათვის 40 ტახტიან თავ-შესაფარის დაარსების შესახებ და აგრეთვე ქალაქში სიფილისიან ქალთა საავადმყოფოს გადმოტანის შესახებ.

***** სამეურნეო თანხები და პურის საწყობები ტფილისის გუბერნიაში.** ტფილისის გუბერნიის ყველა 9 მაზრა აქვს სამეურნეო თანხები და პურის საწყობები. სხვათა შორის, გორის მაზრას აქვს საწყობებში 24,549 ფუთი შემოდგომას პური 679 ფ. გაზაფხულის პური; დუშეთის მაზრას სრულიად არა აქვს პური საწყობებში; სიღნაღისას 27,020 ფუთი შემოდგომისა და 16,168 ფ. გაზაფხულის პური; თელავისას 18,883 ფუთი შემოდგომის პური; თიანეთისას 3,361 ფუთი გაზაფხულის პური და ტფილისისას 33,286 ფუთი შემოდგომის პური. სამეურნეო თანხად აქვს გორის მაზრას 124,235 მან. დუშეთისას 59,281 მან. სიღნაღისას 181,450 მან. თელავისას 30,896 და ტფილისისას 120,123 მან.

***** მეტივეთა საჩივრის** გამოსარკვევლად იმის შესახებ, აქვთ თუ არა უფლება მდ. მტკვრის ნაპირების პატრონთ აიღონ გადასახადი ტივების დაყენებისათვის, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, შესდგა საგანგებო კომისია პოლიცმეისტერის თანაშემწის ბ. კოვალევისა, ქალაქის წარმომადგენლისა და გუბერნატორის კანცელარიის მოხელისაგან.

***** გადასახადი ტივებზე.** იმის გამო, რომ მდ. მტკვრის ნაპირების პატრონებმა ტფილისის მაზრაში გადასახადი შემოიღეს მათ ადგილებში დაყენებულ ტივებზე, ტფილისის გუბერნატორმა შემდეგი წინადადება მისცა სამაზრო ადმინისტრაციას: განეცხადოს ყველა მეტივეთ, რომ კანონის ძალით მტკვრის ნაპირების პატრონთ უფლება არ აქვთ გადასახადი დაადვან მათ ტივების დაყენებისათვის ნაპირზე სამი საჟენის სიგანეზე.

## სასამართლოს მატიანე

**მამის მოკვლის განზრახვა.** 2 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ტფილისის მდიდარ ვაჭრის შვილის ალექსანდრე არტემის ძის შაუმოვის საქმე, რომელსაც ბრალდება მამის მოკვლის განზრახვა. ბრალდებულს სწავლა მიუღია ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში. სანამ გიმნაზიაში კურს დაამთავრებდა, იგი მისივე სურვილით მამამ პეტერბურგის გიმნაზიაში მისცა. რამდენიმე თვის შემდეგ ამ გიმნაზიის დირექტორმა მამას დეპეშით შეატყობინა, შენი შვილი გააიქცაო. აღმოჩნდა, რომ შვილი გაქცეულიყო საზღვარ გარეთ, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ აცნობა მამას, აქედან წამოსასვლელად 500 მან. მჭირიაო. ფული მას გაეგზავნა და ბრალდებული დაბრუნდა ტფილისში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მან მოისურვა რუსეთში წასვლა ოთხი წლის ვადით განათლების დასამთავრებლად და მამას სთხოვა, ყოველწლივ 1,000 მან. გამომიგზავნეო. მამა ამ წინადადებაზედ დასთანხმდა. ხუთ წელიწადს ბრალდებული ცხოვრობდა რუსეთში, მამისაგან ყოველ წლივ 1,000 მან. იღებდა და მამის მოთხოვნით იგი დაბრუნდა ტფილისში, მაგრამ არ მოისურვა მშობლებთან ცხოვრება და გაჩერდა სასტუმროში. ერთი თვის შემდეგ მამამ მისცა მკერვალს დიურანუს 250 მან. და სასტუმროს—250 მან. და შვილს გადაჭრით განუცხადა, ამის მეტ ფულს აღარ დაგახარჯებო. ამის გაგონებაზე ბრალდებულმა მამას რევოლვერი ესროლა, რისთვისაც იგი სამართალში იქმნა მიცემული, მაგრამ სასამართლომ გაამართლა. ამის შემდეგ მამამ აპატია შვილს და ცხოვრობდნენ ისინი ერთად საკმაო მშვიდობიანად. ამ წლის დამდეგს ბრალდებულმა სთხოვა მამას ერთბაშად, 1,000 მან. მომეციო და, დასძინა, მთელი ერთი წლის განმავლობაში მეტ ფულს აღარ გთხოვო. მამამ შეუსრულა ეს თხოვნა. ბრალდებულმა 1,000 მანათი ერთი თვის განმავლობაში დახარჯა, ისევ მიმართა მამას და განუცხადა, დავჭლერქდი და საზღვარ გარეთ მინდა წავიდე სამკურნალოდაო. რისთვისაც ერთბაშად დამჭირდება 5,000 მანეთიო. მამა არ დაეთანხმა ამდენი ფულის მიცემაზე. მაშინ ბრალდებული 26 თებერვალს შევიდა გეჩკეს თოფიარაღის მაღაზიაში და იყიდა ბასრი დანა. საღამოს 8 საათზე იგი შევიდა მამასთან და თავისი ძმის კონსტანტინისა და ორი მსახურის თანადასწრებით მივარდა მამას დანით, სავრამ უკანასკნელმა მოასწრო, ორივე ხელი დაუჭირა შვილს და მზარეულისა და სხვების დახმარებით განსაცდელი თავიდან აიშორა.

სასამართლოში 2 ივნისს ბრალდებულის მამამ და ძმამ კონსტანტინემ უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე. ბრალდებულმა უარ-ჰყო თავისი დანაშაული და აუხსნა სასამართლოს, მე მამის მოკვლა არა მქონია განზრახვად, მხოლოდ მინდოდა შემეშინებია იგი და ამ საშუალებით მისგან 5,000 მან. მიმეღო საზღვარ-გარეთ წასასვლელადაო. მოწმეებმა შაუმოვის მსახურებმა მზარეულმა ჩიბუნიძემ და კვპტელაძემ აჩვენეს: ბრალდებული შევიდა მამის ოთახში და იძრო დანა, მაგრამ მამა თვალის დახამხამებაზე მივარდა შვილს და ორივე ხელი დაუჭირა, რის შემდეგ დანა ადვილად წაართვეს ბრალდებულს კონსტანტინე შაუმოვმა და მზარეულმა ჩიბურიძემაო.

ოლქის სასამართლომ ბრალდებული შაუმოვი გაამართლა. („ტიფ. ფურც.“).

## სხვა-და-სხვა ამბები

იაპონიის ამბები. იაპონიაში არის 42,260,620 მცხოვრები. ამ უკანასკნელს 10 წელიწადს მიკადოში ხალხის რაოდენობამ მოიმატა ოთხას მილიონამდე მაშინ, როდესაც საფრანგეთში მოემატა მხოლოდ 80,000 კაცი. მცხოვრებთა ასეთ გამრავლებას ხელი შეუწყო ბავშვების არა ჩვეულებრივმა ხშირმა დაბადებამ (1, 246,427) და სიკვდილის გაიშვიათებამ ამ უკანასკნელს წლებში იაპონიის მთავრობამ სწავლა-განათლების წინ-მსვლელობას განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია, ამ ჟამად ირიცხება 12,570 თემი, 24,046 მდაბალი სასწავლებელი. რომელშიაც იზრდება 3,501,070 მოწაფე და არის 63,036 მასწავლებელი. იაპონიაში ირიცხება 42,196 მკურნალი, რომლებსაც საკმაო მუშაობა აქვთ და უზრუნველ-ყოფილად ცხოვრობენ. შედარებით იაპონიაში ცხოვრება გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ევროპაში. რასაც გვიმტკიცებს ყოველ-გვარი იაპონური ნაწარმოების სიიაფე. რაც უნდა გამოჩენილი დურგალი იყო იაპონიაში, დღიური სამუშავარი არ აღემატება 1 ფრ. 78 სან. რკინეულობის ქარხნებში მომუშავეს—1 ფარ. და 40 სან. წლიური მუშა, რომელიც მუშაობს მინდორში, ბაღებში და სხ. დირს 120 ფრანკი წელიწადში. იაპონია კიდევ მით არის შესანიშნავი, რომ აქ მეტისმეტი სისუფთავე და სიფაქიზეა ჯარებში, რის გამოც სიკვდილიც იშვიათი მოვლენაა; მაგალითად: ათას კაც—ში წელიწადში კვდება ხუთი, როდესაც ინგლისის ჯარებში ათასზე თექვსმეტი კაცი კვდება.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან). 2 ივნისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნეს გაზეთის „Вятскій Кра“-ის გამოცემა 8 თვით.

**მადრიდი.** კერძო დეპეშა მანილიიდან იუწყება საქმეთა ვითარების გაუმჯობესებას. თუმცა პროვინციაში გავრცელებულია აჯანყება, მაგრამ სატახტო ქალაქმა გადასწყვიტა წინაამდეგობა გაუწიოს მას. საზოგადოების სულიერი მდგომარეობა ჩინებულია. მტრების მოგერება გაძლიერებულია, შემდგარია თავისუფალ მეომართა ახალი ბატალიონები. მეამბოხეთ ვერ გადაუწყვეტიათ იმ პუნქტზე იერიშის მიტანა. სადაც ორი თვის სურსათი იმყოფება. დევე თავს არ დაესხმის მტრებს, სანამ ჯარი არ მოეშველება.

**კიევი.** 1 ივნისის წინადამით დაიმტვრა ღამის მატარებელი კიევიდან 7 ვერსის სიშორეზე. მატარებელი შესდგებოდა 7 სახალხო და საქონლისაგან ტენდერი და ორი მე-3 კლასის ვაგონი გადავარდა მაღალ ლიანდაგიდან ჰაობში. დანარჩენი ვაგონები ლიანდაგზე დარჩა, არვინ მოკლულა. დაშავდა 17 კაცი, მათ შორის 15 მგზავრი. 8 მძიმედ დაჭრილი დააწვინეს კიევის რკინის გზის საავადმყოფოში.

**ბუენოს-აირეს.** გენერალი როკა არჩეულ იქმნა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

**ნიუ-იორკი.** გვანტანამაში შესული ჯარი გუშინ საღამოდან ებრძოდა ისპანიის რეგულიარ ჯარს შეუწყვეტლივ 13 საათის განმავლობაში, კრეისერმა „მარბლეხედმა“ ჯარი მიაშველა ამერიკელთ რამდენადაც გამოირკვა, 4 ამერიკელი მოკლულია და 1 დაჭრილი ისპანიელთა ზარალი არავინ იცის.

**ნიუ-იორკი.** გაზეთს „New. york.Herald„-ს დეპეშით აუწყებენ ვაშინგტონიდან: „მანილიამ იარაღი დაჰყარა. მაგრამ ოფიციალურმა წრეებმა არ იციან ადმირალ დევეს წინ დაჰყარა მან იარაღი, თუ მეამბოხეთა წინ.

**ლონდონი.** ამერიკის ელჩი ლონდონში უარ ჰყოფს New-york-Horold-ის“ ცნობას, თითქო ელჩს ნიუ-იორკში დეპეშით გადაეცეს ამბავი მანილიის აღების შესახებ.

# განცხადებანი

მმართველობა ყარსის რკინის გზისა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამას წინედ დაბეჭდილ განცხადებაში შესახებ იჯარით გაცემისა ეტლების გასაყვანად სადგურ სანაინიდან სოფ. სუხუნლიარამდე ბორჩალოს მაზრაში შეცდომით არის დაბეჭდილი, რომ ვადა თხოვნების შემოსატანად აღნიშნულია ამ წლის 10 ივნისისათვის, უნდა იყოს 10 ივლისისათვის 1898 წ.

(4—3)